თბილისის სააპელაციო სასამართლო

ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. 7ა, 0159; ტელ.: 251-85-21/22/23;
ვებ-გვერდი: www.tbappeal.court.ge; ელ. ფოსტა: tbappeal@court.ge

1.05.2023წ. №3/2935

ქალბატონ მირანდა თეთრაძეს

ქალბატონო მირანდა,

თბილისის სააპელაციო სასამრთლოში 2023 წლის 21 აპრილს შემოსული თქვენი №2/2935 განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

აქვე გაცნობებთ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში სტატისტიკის სექტორი შეიქმნა 2018 წლის 1 მარტიდან, შესაბამისად სტატისტიკური მონაცემების დამუშავება შესაძლებელია ამ თარიღიდან.

ასევე გაცნობებთ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და სტატისტიკის სექტორში სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმეების მონაცემების დამუშავება ხდება დადგენილ სტატისტიკურ ფორმებში, დავის საგნის მიხედვით, ხოლო სისხლის სამართლის საქმეები აღირიცხება მუხლების მიხედვით. აღნიშნულ სტატისტიკურ ფორმებში ცალკე არ აღირიცხება თქვენ მოთხოვნაში მითითებული საფუძვლით ინფორმაცია, კერძოდ: „- ვის უჩივიან (ფიზიკური საჯარო პირი, ა(ა)იპ, სსიპ, სამინისტრო და სხვა საჯარო დაწესებულებები...; - სახელმწიფოსთვის დაკისრებილი გადასახადის რაოდენობა მოსარჩელესადმი".

შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების არარსებობის პირობებში, თქვენს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მოძიება საჭიროებს დიდი ოდენობით საქმეების და სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას და სისტემატიზაციას, რაც მოითხოვს განუსაზღვრელად დიდ დროს და აღემატება ჩვენს ხელთარსებულ ნებისმიერ რესურსს.

ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, დავაკმაყოფილოთ თქვენი მოთხოვნა.

პატივისცემით,

ნატალია კალანდია
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი